

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-763

2019 წლის 9 აგვისტო

ქ. თბილისი

„ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ

„ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის 1620-რს კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

1. დამტკიცდეს თანდართული „ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების განხორციელების წესი“.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 22 იანვრის N2 ბრძანება.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი

ლევან დავითაშვილი

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების წესი (შემდგომში – წესი) ადგენს „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებადი საქმიანობის ინსპექტირების ჩატარების პირობებსა და პროცედურებს.
2. წესი განსაზღვრავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ავტორიზებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის კანონმდებლობით გათვალისწინებული ინსპექტირების და არავტორიზებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის გამოვლენის ძირითად მოთხოვნებს.
3. სააგენტო ინსპექტირების განხორციელებისას ხელმძღვანელობს „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ წესითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) **ინსპექტირება** – ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი რეაგირება;
 - ბ) **დათვალიერება** – ფიზიკური ან იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოსაპოვებლად ვიზუალური დათვალიერება და დოკუმენტაციის შესწავლა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ინსპექტირების ჩატარების, ასევე შესაბამისი რეაგირების უზრუნველსაყოფად;



გ) ადმინისტრაციული მიწერილობა – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინსპექტირების, ანგარიშგების და საქმიანობის პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე სააგენტოს უფროსის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც აცნობებს ინსპექტირების ობიექტს, რომ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას გამოვლენილი დარღვევები ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედებებისაგან, რომელთა შეუსრულებლობაც გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის პასუხისმგებლობას;

დ) ინსპექტირების ობიექტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, სადაც დაგეგმილია ან ხორციელდება ინსპექტირება.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში.

მუხლი 3. ინსპექტირების მიზნები და ამოცანები

1. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების მიზნებია:

ა) ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაში მონაწილე პერსონალის, მოსახლეობის და გარემოს დაცვა მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან;

ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის საქმიანობის ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი რეაგირება.

2. ინსპექტირების ამოცანებია:

ა) ავტორიზებული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განხორციელებისას, სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლი ან/და ლიცენზიის ფარგლებში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) პირობების დარღვევის გამოვლენა;

ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის არავტორიზებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის გამოვლენა;

გ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება.

მუხლი 4. ინსპექტირების სახეები

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირება შეიძლება იყოს გეგმური ან არაგეგმური.

მუხლი 5. გეგმური ინსპექტირება

1. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება ინსპექტირების წლიური პროგრამის მიხედვით, რომელსაც სააგენტოს უფროსის წარდგინებით, ყოველი წლის ბოლოს, ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი. ინსპექტირების წლიური პროგრამის შედგენა ხორციელდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პერიოდულობის გათვალისწინებით. ბრძანებით განისაზღვრება მომდევნო წელს შესამოწმებელი ინსპექტირების ობიექტების ნუსხა.

2. ინსპექტირების წლიური პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ინსპექტირების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი და ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებები, წინა ინსპექტირების შედეგები და ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განხორციელების პერიოდულობა.

3. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის კონკრეტული რადიაციული რისკისა და დიფერენციალური მიდგომის საფუძველზე, გეგმური ინსპექტირების განხორციელების პერიოდულობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) რადიოაქტიური წყაროების გამოყენება მედიცინაში, მრეწველობასა და მეცნიერებაში (I, II და III კატეგორიის წყაროები) – არანაკლებ 1 წელიწადში ერთხელ;

ბ) ბირთვული მასალების გამოყენება მედიცინაში, მრეწველობასა და მეცნიერებაში არანაკლებ 1 წელიწადში ერთხელ;

გ) რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობა – არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ;

დ) რადიოაქტიური წყაროების გამოყენება მედიცინაში, მრეწველობასა და მეცნიერებაში (IV და V კატეგორიის წყაროები) – არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ;

ე) სხვადასხვა დანიშნულების ამაჩქარებლები (მედიცინა, მრეწველობა და სხვა) – არანაკლებ 1 წელიწადში ერთხელ;

ვ) რადიოფარმპრეპარატების გამოყენება სამედიცინო დიაგნოსტიკურ ან/და სამკურნალო დანიშნულებისათვის - არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ;



- ზ) სამედიცინო დიაგნოსტიკური რადიოლოგია (კომპიუტერული ტომოგრაფია, ანგიოგრაფია, ზოგადი პროფილის რენტგენოდიანოსტიკა, მამოგრაფია და სხვ.) – არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ;
 - თ) სტომატოლოგიური რენტგენოგრაფია და მომსახურების მიწოდება მაიონებელი გამოსხივების გენერატორების გამოყენებით – არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ;
 - ი) ლიცენზირებადი საქმიანობის დანარჩენი სახეობები – არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ.
4. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება ობიექტების შერჩევის პრინციპით. ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება ინსპექტირების წლიურ პროგრამაში დადგენილი შესამოწმებელი ინსპექტირების ობიექტების რიგითობა.
5. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება ლიცენზიის მფლობელის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი გაფრთხილებით, რომელიც ადრესატს ეგზავნება ინსპექტირების განხორციელებამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე.
6. სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს კომპლექსური ინსპექტირება, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, სხვა მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობით.

მუხლი 6. არაგეგმური ინსპექტირება

1. არაგეგმური ინსპექტირება ხორციელდება:

- ა) სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით, სააგენტოში არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე;
 - ბ) სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო უწყებების, ორგანიზაციების, მოქალაქეების მომართვების (საჩივრების), შეტყობინებების საფუძველზე;
 - გ) ბირთვული და რადიაციული საქმიანობის უსაფრთხოების, ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის), სალიცენზიო პირობების ან/და საქართველოს კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევების თაობაზე მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე;
 - დ) ავტორიზებული ფიზიკური ან იურიდიული პირის წლიური ანგარიშგების შედეგად წარდგენილი ინფორმაციის ადგილზე გადამოწმების მიზნით;
 - ე) სალიცენზიო პირობების დარღვევის აღმოსაფხვრელად და კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების მიზნით, ადმინისტრაციულ მიწერილობაში განსაზღვრულ ვადაში ქმედების განხორციელების დამადასტურებელი ინფორმაციის ადგილზე გადამოწმების მიზნით;
 - ვ) ფიზიკური ან იურიდიული პირის არალიცენზირებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის გამოვლენის მიზნით;
 - ზ) ბირთვული და რადიაციული ობიექტის დათვალიერების შედეგად დარღვევების თაობაზე მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.
2. თუ ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განხორციელების შედეგად (რადიაციული ავარია, გაუთვალისწინებელი შემთხვევა, სავარაუდო კანონდარღვევა) შესაძლებელია მყისიერი და უშუალო საფრთხე შეექმნას გარემოს, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, მაშინ შესაძლებელია ოპერატიული არაგეგმური ინსპექტირების განხორციელება.
3. წინასალიცენზიო ინსპექტირება ხორციელდება დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე, ბირთვული და რადიაციული საქმიანობის რისკისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ავტორიზაციის პროცესში წარდგენილი დოკუმენტების არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
4. არაგეგმური ინსპექტირება შეიძლება ჩატარდეს როგორც ინსპექტირების პროგრამით გათვალისწინებულ ობიექტში, ისე სხვა ობიექტშიც, რომელიც არ არის შეტანილი ამ პროგრამით დადგენილ ნუსხაში.
5. სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს არაგეგმური კომპლექსური ინსპექტირება, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, სხვა მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობით.

მუხლი 7. ბირთვული მასალების მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირების ინსპექტირება

- 1. ბირთვული მასალების მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირების ინსპექტირება ხორციელდება საქართველოსა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს „ბირთვული იარაღის გაუზრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე“ შეთანხმებისა და შეთანხმების დამატებითი ოქმის ეროვნული პასუხისმგებელი პირის მიერ, ინსპექტირების ობიექტის ბირთვული მასალების აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით.
- 2. ბირთვული მასალების მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირების ინსპექტირების დროს მოწმდება ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს გარანტიების დეპარტამენტში დეკლარირებული ბირთვული მასალა, მისი ინვენტარული მდგომარეობა, ფიზიკური ინვენტარიზაციის ანგარიშები, სააგენტოში წარდგენილი წერილები ბირთვული მასალების ინვენტარული ცვლილებების შესახებ, დამატებითი ოქმის მოთხოვნების მიხედვით წარდგენილი დოკუმენტაცია, ბირთვული მასალების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) პირობები და მათი შესაბამისობა ბირთვული მასალების ფიზიკური დაცულობის, მისი დამატების კონვენციის მოთხოვნებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან.



მუხლი 8. ინსპექტირების ობიექტის დათვალიერება

1. ინსპექტირების ობიექტის დათვალიერება შესაძლოა ჩატარდეს ავტორიზებული ან არაავტორიზებული ფიზიკური ან იურიდიული პირის წინასწარი შეტყობინების გარეშე.
2. დათვალიერების პროცესში სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია დათვალიერების ობიექტის ხელმძღვანელს ან მის უფლებამოსილ პირს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი სამსახურებრივი მოწმობა.
3. დათვალიერება შესაძლოა მოიცავდეს:
 - ა) ბირთვული და რადიაციული საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვებას, მათ შორის, ობიექტის საქმიანობის ადგილის და მოწყობილობა-დანადგარების ვიზუალურ დათვალიერებას;
 - ბ) ნებისმიერი იმ დოკუმენტაციის გამოთხოვას, რომელიც შესაძლოა ადასტურებდეს ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და ვალდებულებების შესრულებას;
 - გ) ობიექტის ინსპექტირების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელი ადმინისტრაციული მიწერილობის შესასრულებლად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებას.
4. დათვალიერებისას, ფიზიკური ან იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გეგმური ან არაგეგმური ინსპექტირების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.
5. ფიზიკური ან იურიდიული პირის საქმიანობის დათვალიერების განხორციელება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას არ საჭიროებს.

მუხლი 9. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინსპექტირების თაობაზე

1. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის გეგმური ან არაგეგმური ინსპექტირების თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს სააგენტოს უფროსი.
2. ოპერატიული ინსპექტირების განხორციელებისას ან/და დათვალიერების საფუძველზე არაგეგმური შემოწმების განხორციელებისას, გამოიცემა წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინსპექტირების დასრულებიდან არაუმეტეს სამი დღის ვადაში.
3. ინსპექტირების განხორციელების თაობაზე სააგენტოს უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უნდა განისაზღვროს:
 - ა) ინსპექტირების სახე;
 - ბ) ინსპექტირების განმახორციელებელი პირები (თანამდებობა, სახელი და გვარი, ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის ვინაობა);
 - გ) ინსპექტირების ობიექტი/ობიექტები და მათი მისამართები;
 - დ) ინსპექტირების განხორციელების თარიღი და ვადა.

მუხლი 10. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების განხორციელება

1. ინსპექტირების განმახორციელებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სააგენტოს უფლებამოსილი პირი, რომლისთვისაც შეფერხების გარეშე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინსპექტირების ობიექტის ნებისმიერი უბანი, სადაც მიმდინარეობს ბირთვული და რადიაციული საქმიანობა.
2. გეგმური ინსპექტირების დაწყებამდე სააგენტოს შესაბამისი სამსახურის უფროსი კონკრეტული ინსპექტირებისათვის ადგენს:
 - ა) უფლებამოსილ პირთა ჯგუფს, რომელიც შედგება მინიმუმ ორი სპეციალისტისაგან. მათ შორის ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელს. ინსპექტირების ობიექტის რისკისა და საქმიანობის გათვალისწინებით, ინსპექტირების ჯგუფი შეიძლება დაკომპლექტდეს ორზე მეტი წევრისაგან;
 - ბ) ინსპექტირების ჩატარების ხანგრძლივობას, რომელიც განისაზღვრება ბირთვული და რადიაციული ობიექტის საქმიანობის რისკების, საქმიანობაში გამოყენებული მაიონებელი გამოსხივების წყაროებისა და ობიექტზე არსებული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მდგომარეობით. ინსპექტირების ხანგრძლივობა შეიძლება გაზარდოს სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით, შესაბამისი სამართლებრივი აქტში ცვლილებების შეტანით.
3. ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელმა უნდა შეადგინოს ინსპექტირების ინდივიდუალური გეგმა, რომელიც თანხმდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსთან. ინსპექტირების ინდივიდუალური გეგმა მოიცავს უფლება-მოვალეობების განაწილებას ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის წევრებს შორის, აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს, შემოწმების ძირითად ქმედებებს.
4. ინსპექტირების ჯგუფის წევრები უნდა გაეცნონ მონაცემთა ელექტრონულ ბაზებში ინსპექტირების ობიექტის ავტორიზაციის დროს წარდგენილ დოკუმენტაციას, წინა ინსპექტირების აქტებს, გამოვლენილ დარღვევებს, დასახულ ღონისძიებებსა და ინფორმაციას მათი შესრულების შესახებ, წარმოდგენილ შეტყობინებებს.
5. უნდა შეირჩეს ინსპექტირების ობიექტის საქმიანობის შესაბამისი რადიომეტრიული და დოზიმეტრიული



ხელსაწყოები; შემოწმდეს მათი გამართულობა და დაკალიბრების სერტიფიკატების მოქმედების ვადა. ინსპექტირების ჯგუფის წევრები აღჭურვილი უნდა იქნენ ინდივიდუალური დოზიმეტრებით. ინსპექტირების ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით ინსპექტირების განმახორციელებელი პირი შეიძლება დამატებით აღჭურვოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სათვალე და სხვა).

6. გეგმური ინსპექტირება იწყება ინსპექტირების ობიექტის ხელმძღვანელობასთან, რადიაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან ან/და სხვა უფლებამოსილ თანამშრომელთან სამსახურებრივი მოწმობისა და ინსპექტირების თაობაზე სააგენტოს უფროსის ბრძანების წარდგენით.

7. ინსპექტირების განმახორციელებელი პირი ინსპექტირებისას განხორციელებისას ვალდებულია:

ა) გაეცნოს ინსპექტირების ობიექტის ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაციას (რადიაციული დაცვის პროგრამის, ფიზიკური დაცულობის სისტემის, რადიაციული ავარიის რეაგირებისა და პრევენციის გეგმის, რადიაციული მონიტორინგის შედეგების, ხარისხის კონტროლის, აპარატურის დაკალიბრება - ტესტირების და სხვა დოკუმენტაციას);

ბ) გაესაუბროს ინსპექტირების ობიექტის პერსონალს და სხვა კომპეტენტურ პირებს, ინსპექტირებისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების მიზნით;

გ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პირობების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად ჩაატაროს აუცილებელი რადიოლოგიური (დოზიმეტრული) გაზომვები და მიიღოს საჭირო ინფორმაცია;

დ) დაადგინოს რადიაციული ავარიებისათვის ან/და ინციდენტებისათვის მზადყოფნა;

ე) აიღოს სინჯები ლაბორატორიული რადიოლოგიური შეფასებისათვის;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ობიექტის ფოტო, აუდიო ან/და ვიდეოგადაღება, რომლის მასალებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დარღვევების ნივთიერ მტკიცებულებად;

ზ) შეამოწმოს „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით და ბირთვულ და რადიაციულ სფეროში მოქმედ სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილ მოთხოვნათა შესრულება;

თ) დაიცვას ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული კომერციული საიდუმლოება;

ი) განახორციელოს სხვა ღონისძიებები, რომელიც აუცილებელია ინსპექტირების მიზნებისათვის.

8. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ინსპექტირების განმახორციელებელ პირს უფლება აქვს, თან იქონიოს კავშირგაბმულობის საშუალებები, პერსონალური კომპიუტერი, ლაბორატორიული სინჯის ასაღებად საჭირო საშუალებები და რადიომეტრიული და დოზიმეტრიული ხელსაწყოები, ასევე სხვა აღჭურვილობა ან მასალები, რომლებიც ესაჭიროება ინსპექტირების განხორციელებას.

მუხლი 11. ინსპექტირების აქტი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი

1. ინსპექტირების დასრულების შემდეგ ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი ან ინსპექტირების განმახორციელებელი სხვა პირი ვალდებულია:

ა) მოაწყოს შეხვედრა ინსპექტირების ობიექტის ხელმძღვანელ ან მის უფლებამოსილ პირთან და გააცნოს ინსპექტირების შედეგები: ინსპექტირების ჯგუფის მიერ ჩატარებული ქმედებები, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან ინსპექტირების დროს აღმოჩენილი დარღვევები;

ბ) შეადგინოს ინსპექტირების აქტი (საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დანართ №1-ში მოცემული შესაბამისი ინსპექტირების აქტის ფორმის მიხედვით), რომელშიც აისახება ინსპექტირების შედეგები. ინსპექტირების აქტს ხელს აწერენ მასში მონაწილე და დამსწრე პირები.

2. ინსპექტირების აქტის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ინსპექტირების ობიექტის ხელმძღვანელს ან მის უფლებამოსილ პირს. ინსპექტირების ობიექტის ხელმძღვანელი ან მისი უფლებამოსილი პირი ინსპექტირების აქტის მიღებას ადასტურებს ინსპექტირების აქტზე ხელმოწერით.

3. ინსპექტირების ობიექტის ხელმძღვანელის ან მისი უფლებამოსილი პირის მხრიდან ინსპექტირების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში ინსპექტირების აქტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

4. ინსპექტირების აქტზე ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ინსპექტირების აქტი ეგზავნება ინსპექტირების ობიექტის ხელმძღვანელს ინსპექტირების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს ათი სამუშაო დღის ვადაში.

5. ინსპექტირების ობიექტის ხელმძღვანელის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ ინსპექტირების აქტის ხელმოწერაზე უარი არ აჩერებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების განხორციელებას.

6. ინსპექტირების შედეგები თანდართული ინსპექტირების აქტითა და საქმის სხვა მასალებით (მათი არსებობის შემთხვევაში), ინსპექტირების ჩატარებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა, წარედგინება სააგენტოს უფროსს.

7. ინსპექტირების პროცესში გამოვლენილი დარღვევების და მათი გონივრულ ვადებში აღმოფხვრის მიზნით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირები ამზადებენ ადმინისტრაციულ მიწერილობას, რომელსაც ამტკიცებს სააგენტოს უფროსი. ადმინისტრაციული მიწერილობა ეგზავნება ინსპექტირების ობიექტის ხელმძღვანელს.



8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების განმახორციელებელი პირები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ადგენენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და თანდართულ მასალებთან ერთად განსახილველად უგზავნიან ინსპექტირების ობიექტის შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

9. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ უნდა ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრს).

მუხლი 12. უწყებრივ რეესტრში ინფორმაციის შეყვანა

1. ინსპექტირების განმახორციელებელი პირი ვალდებულია სააგენტოს უფროსის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში შეიყვანოს ინფორმაცია განხორციელებული ინსპექტირების შესახებ უწყებრივი რეესტრის ინსპექტირების მოდულში.

2. უწყებრივ რეესტრში უნდა შეტანილი იქნას შემდეგი ინფორმაცია:

ა) ინსპექტირების ობიექტი, ჩატარების თარიღი, ინსპექტორთა ჯგუფის შემადგენლობა, ინსპექტირების სახე, სააგენტოს უფროსის ბრძანება ინსპექტირების შესახებ;

ბ) ინდივიდუალური გეგმა და ინსპექტირების აქტი;

გ) ადმინისტრაციული მიწერილობა, დარღვევების აღმოფხვრის თარიღების და ინსპექტირების ობიექტის მიერ ამ მიწერილობით განსაზღვრული შესასრულებელი ქმედებების აღწერით და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (ოქმები);

დ) ინსპექტირების ობიექტის შესაბამისი რაიონული (საქალაქო), სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (სააგენტოში მისი მიღების შემდეგ).

მუხლი 13. ბირთვული და რადიაციული ობიექტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები

1. ბირთვული და რადიაციული ობიექტის ხელმძღვანელს (უფლებამოსილ პირს) უფლება აქვს, შესაბამისი უფლებამოსილების დადასტურების გარეშე არ დაუშვას ობიექტზე ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფი.

2. ინსპექტირების განხორციელებისას ავტორიზებული ან არავტორიზებული პირის ხელმძღვანელი ან/და მისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) წარმოადგინოს ინსპექტირებისას მოთხოვნილი ყველა საჭირო დოკუმენტი;

ბ) უზრუნველყოს შეუფერხებელი წვდომა ობიექტის ყველა საჭირო უბანზე და არ შეზღუდოს საინსპექციო ღონისძიებების განხორციელება;

გ) არ დაუშვას საწარმოო დანადგარებისა და მოწყობილობების მუშაობის მიზანმიმართული შეფერხება;

დ) არ შეზღუდოს რადიოლოგიური გაზომვებისათვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება;

ე) მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალის დასწრება ინსპექტირების პროცესზე. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ აფერხებს ინსპექტირების განხორციელებას;

ვ) შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები;

ზ) შეასრულოს ადმინისტრაციულ მიწერილობაში დასახული ღონისძიებები.

თ) წერილობით შეატყობინოს სააგენტოს ადმინისტრაციული მიწერილობის ფარგლებში დასახული ღონისძიებების შესრულების შესახებ, მიწერილობაში აღნიშნული ვადის გასვლამდე.

მუხლი 14. იძულებითი ღონისძიებები

1. სააგენტოს უფლება აქვს, ინსპექტირების განხორციელებისას გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იძულებითი ღონისძიებები.

2. ინსპექტირების პროცესში ან ინსპექტირების შედეგების შეჯამებისას, საქმის ყველა მასალის გამოკვლევისა და დარღვევების გამოვლენის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა და ინსპექტირების ობიექტის შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაგზავნა.

3. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღმოსაფხვრელად სავალდებულო ღონისძიებების გატარების მიზნით, ობიექტების ხელმძღვანელს ეგზავნება ან წარედგინება ადმინისტრაციული მიწერილობა, რომლის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულო მიწერილობაში აღნიშნული ვადის განმავლობაში.

4. ინსპექტირების ობიექტის ხელმძღვანელობა ვალდებულია წერილობით შეატყობინოს სააგენტოს ადმინისტრაციულ მიწერილობაში განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულების შესახებ, მიწერილობაში დადგენილი ვადის გასვლამდე.



5. ადმინისტრაციულ მიწერილობაში განსაზღვრულ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააგენტო მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. თუ ობიექტის დათვალიერების, გეგმური/არაგეგმური ინსპექტირების დროს გამოვლინდა დარღვევები, მათ შორის, გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა მყისიერი და უშუალო საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, გარემოს და დარღვევების შესახებ მტკიცებულებებს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებისათვის საჭირო ღონისძიებებს (მათ შორის, ობიექტის, მტკიცებულებების, დანადგარის და ა.შ. დალუქვა, სინჯების აღება და სხვა), ასევე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეაგირების ზომებს.

7. ლუქის განზრახ დაზიანება რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

8. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ლუქების დადებისა და მოხსნის პროცედურა, განისაზღვრება სააგენტოს უფროსის შესაბამისი ბრძანებით.

9. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში ინსპექტირების აქტი შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უწყებებს.



სსიპ – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო,
ინსპექტირების აქტები

სსიპ – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 200, ტელ: (+995 32) 2500041; www.anrs.gov.ge

ინსპექტირების აქტი №
სხივური თერაპია
(სამედიცინო დანიშნულების ამაჩქარებელი)

ინსპექტირების ბრძანების №, თარიღი	
ლიცენზიის ნომერი	

ძირითადი ინფორმაცია	
დაწესებულების დასახელება:	
იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი:	
ხელმძღვანელის გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი:	
რადიაციულ უსაფრთხოებაზე კ/პირის გვარი, სახელი, ტელეფონი	
დამსწრე პირები: გვარი, სახელი	
წინა ინსპექტირების თარიღი	
ინსპექტორები	
მიმდინარე ინსპექტირების თარიღი	
ინსპექტირების ტიპი:	
გეგმური	<input type="checkbox"/>
არაგეგმური	<input type="checkbox"/>

ბირთვული და რადიაციული საქმიანობა

საქმიანობასა და რადიაციული დაცვის პროგრამაში მომხდარი ცვლილებები

წინა ინსპექტირების აქტში გამოვლენილი დარღვევები და დასახული ღონისძიებები

თარიღი	ინსპექტორი	დარღვევები/დასახული ღონისძიებები	შესრულება	
			დიახ	არა

შეტყობინებები და ანგარიში

	დიახ	არა
იყო თუ არა შეტყობინება საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ		
ბოლო ინსპექტირების პერიოდიდან მომხდარი ინციდენტის/ავარიის შესახებ იყო თუ არა წარმოდგენილი ანგარიში		
მოხდა თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ან რადიაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ცვლილებები მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული თანხმობის გარეშე		
კომენტარი:		

რადიაციული საფრთხის ნიშნები, გამაფრთხილებელი წარწერები		
	დიახ	არა
არის თუ არა გამაფრთხილებელი წარწერები და ნიშნები საკონტროლო ზონაში		
არსებობს თუ არა შესაბამისი წარწერები საპროცედუროს/ბუნკერის შესასვლელთან		
ფუნქციონირებს თუ არა გამაფრთხილებელი შუქნიშნები/ინდიკატორები საკონტროლო ზონაში		
კომენტარი:		

დასაბუთების და ოპტიმიზაციის პრინციპების უზრუნველყოფა		
	დიახ	არა
თერაპიული პროცედურები დასაბუთებულია და წარმოებს თუ არა მხოლოდ რადიაციული ონკოლოგიის სპეციალისტის დანიშნულებით და პაციენტის თანხმობით		
სამედიცინო ფიზიკოსი უზრუნველყოფს ყველა ფიზიკური პარამეტრის სიზუსტეს, რომელიც დაკავშირებულია სხივური პროცედურების ჩატარებასთან		
ხდება თუ არა პროცედურების დაგეგმარება სამედიცინო ფიზიკოსის მიერ		
შემუშავებულია თუ არა პაციენტის იდენტიფიცირების პროცედურა		
დანიშნულია თუ არა რადიაციული ონკოლოგიის სპეციალისტი-ექიმი/სამედიცინო ფიზიკოსი, რომელიც პასუხისმგებელია პაციენტის დაცვაზე და უსაფრთხოებაზე		
უზრუნველყოფილია თუ არა სამედიცინო დასხივების პროცედურის დასაბუთება		
<i>დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა გზით არის უზრუნველყოფილი:</i>		
დოზა, რომელიც ენიშნება პაციენტს, შეესაბამება დასაშვებს გაიდლაინით/პროტოკოლით გათვალისწინებულს (კანონმდებლობის მოთხოვნებს)		
დამტკიცებულია თუ არა მკურნალობის შესაბამისი გაიდლაინები/რეკომენდაციები		
კომენტარი:		

პერსონალი		
	დიახ	არა
გაწერილია თუ არა პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები		
გაწერილია თუ არა რადიაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები		
გაწერილია თუ არა სამედიცინო ფიზიკოსის მოვალეობები		
უზრუნველყოფს თუ არა სამედიცინო ფიზიკოსი ყველა ფიზიკური პარამეტრის სიზუსტეს, რომელიც დაკავშირებულია დასხივების პროცედურის ჩატარებასთან		
პერსონალს გააჩნია თუ არა ცოდნისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები		
წარმოებს თუ არა პერსონალის პერიოდული გადამზადება რადიაციული უსაფრთხოების საკითხებში		
წარმოებს თუ არა შესაბამისი კონტროლი RTT/რადიოთერაპიის/ტექნიკოსების და საშუალო სამედიცინო განათლების პერსონალის საქმიანობაზე		
გასაუბრებისას, პერსონალმა გამოავლინა თუ არა რ/ავარიის პროცედურების და რ/უსაფრთხოების წესების ადეკვატური ცოდნა		
კომენტარი:		

რადიაციული უსაფრთხოების და ფიზიკური დაცულობის უზრუნველყოფა გამოყენებული დანადგარების ჩამონათვალი, აღჭურვა		
	დიახ	არა
შეესაბამება თუ არა დანადგარები და საქმიანობა-საქმიანობის სპეციფიკა იმ აღწერილობას, რაც წარმოდგენილია სალიცენზიო დოკუმენტაციაში		
გამოიყენება თუ არა მხოლოდ სხივური თერაპიისთვის განკუთვნილი დანადგარები და აღჭურვა		
უზრუნველყოფილია თუ არა საპროცედუროს კარების ბლოკირების, გამაფრთხილებელი (შუქ-ინდიკატორები, სიგნალიზაცია და სხვა) და ავარიული სისტემებით		
ფუნქციონირებს თუ არა, საპროცედუროს/ბუნკერის და სამართავ ოთახებს შორის შეტყობინების სისტემა		
უზრუნველყოფილია თუ არა საპროცედუროდან/ბუნკერიდან შეუფერხებელი (მანუალური) გამოსვლა გარეთ		
ავარიული გათიშვის ღილაკები ფუნქციონირებს თუ არა შეუფერხებლად		

წარმოებს თუ არა დანადგარების ინსტალაცია, რემონტი და ტექნიკური მომსახურება მწარმოებელი ფირმის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად (რა პერიოდულობით და სიხშირით)		
დანადგარის ტექნიკურ სერვისს ახორციელებს მწარმოებელი ფირმა თუ მწარმოებელი ფირმის მიერ მომზადებული პირი, რომელსაც გააჩნია ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი)		
<i>მიეთითოს ასეთი ფირმის დასახელება და ტექნიკური მომსახურების ჩატარების ბოლო თარიღი</i>		
დროულად აღმოიფხვრა თუ არა დარღვევები, ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც გამოვლინდა ტექნიკური სერვისის ან/და ინსპექტირების დროს		
წარმოებს თუ არა ჩანაწერები ტექნიკური მომსახურების ჩატარებასა და ტექნიკური ხარვეზების გამოსწორების შესახებ		
გამოიყენება თუ არა შესაბამისი პროცედურები საკონტროლო ზონაში უცხო პირთა შესვლის მიმართ		
უზრუნველყოფილია თუ არა ამაჩქარებლის ფიზიკური დაცულობა არასანქცირებული შეღწევისაგან		
კომენტარი:		

ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა	დიახ	არა
წარმოებს თუ არა დანადგარების ტექნიკური პარამეტრების ხარისხის კონტროლის პერიოდული შემოწმება IEC/ISO და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე		
ვინ ატარებს გაზომვებს და როდის ჩატარდა ბოლო გამოცდა		
განსაზღვრულია თუ არა პასუხისმგებელი პირი ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის შესრულებაზე		
კომენტარი:		

დასხივების დოზების დაგეგმარების სისტემის აღწერა	დიახ	არა
დანიშნულია თუ არა პასუხისმგებელი პირი კლინიკურ დოზიმეტრიაზე;		
წარმოებს თუ არა დოზიმეტრიისათვის განკუთვნილი აპარატურის დამოწმება/დაკალიბრება		

წარმოებს თუ არა სხივური თერაპიის დანადგარების, დაგეგმარების, პროგრამული უზრუნველყოფის, დოზიმეტრიული სისტემების კონტროლი		
სამუშაო დღის დაწყებამდე მოწმდება თუ არა დოზის სიმძლავრის საზომი აპარატურის გამართულობა		
არის თუ არა რადიაციული უსაფრთხოების ინსტრუქციები პერსონალის თანამდებობის გათვალისწინებით		
აღირიცხება და ანალიზდება თუ არა ყველა შემთხვევა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს პაციენტის დაუსაბუთებელი დასხივება, ან ინციდენტი/ავარია		
რადიოთერაპიული პროცედურებისას გამოყენება თუ არა შესაბამისი გაიდლაინები		
მომსახურებაზე დადებულია თუ არა ხელშეკრულებები		
ხდება თუ არა დაგეგმარების პროცესში სიმულატორის გამოყენება (პროგრამა, პასუხისმგებელი პირი)		
კომენტარი:		

რადიაციული მონიტორინგი

პერსონალის სამუშაო ადგილების მონიტორინგი		
	დიახ	არა
უზრუნველყოფილია თუ არა ორგანიზაცია რადიაციული კონტროლის ხელსაწყოებით		
მოწმდება თუ არა დოზიმეტრიული ხელსაწყოების ტექნიკური გამართულობა		
ჩატარებულია თუ არა დოზიმეტრიული ხელსაწყოების დამოწმება/დაკალიბრება (დაკალიბრების ბოლო თარიღი)		
რომელი ორგანიზაცია აწარმოებს დაკალიბრებას		
წარმოებს თუ არა პერსონალის სამუშაო ადგილების მონიტორინგი		
უზრუნველყოფილია თუ არა საპროცედურო/ბუნკერი სტაციონარული დოზიმეტრით		
კომენტარი:		

პერსონალის ინდივიდუალური მონიტორინგი		
	დიახ	არა

პერსონალი უზრუნველყოფილია თუ არა ინდივიდუალური დოზიმეტრებით		
ინდივიდუალურ დოზიმეტრის აწარმოებს ლიცენზირებული ორგანიზაცია		
ორგანიზაციის დასახელება		
დოზიმეტრები შეესაბამება თუ არა გამოსხივების ტიპს და ენერგიას		
დოზიმეტრების შეცვლა ხდება თუ არა დროულად		
დოზების შეფასება და ანალიზი ხდება თუ არა რადიაციულ უსაფრთხოებაზე კ/პირის მიერ		

პერსონალი ატარებს თუ არა ინდივიდუალურ დოზიმეტრებს		
ხდება თუ არა პერსონალის ინფორმირება მიღებული დოზების შესახებ		
წარმოებს თუ არა პერსონალის ინდივიდუალური დოზების აღრიცხვა		
<i>შემოწმდეს ჩანაწერები გარკვეული პერიოდის განმავლობაში:</i>		
კომენტარი:		

ინსპექტირების დროს ჩატარებული საკონტროლო დოზიმეტრიული გაზომვები	დიახ	არა
გაზომვის მონაცემების ჩაწერა, გამოყენებული რადიაციული კონტროლის ხელსაწყოების მითითება, დაკალიბრების ბოლო თარიღი		
კომენტარი:		

ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება და ჩანაწერები:	დიახ	არა
განყოფილების სათავსების სქემა-ნახაზი (ყველა ცვლილება), თანდართული რადიაციული დაცვის გაანგარიშებით (გამოყენებული ლიტერატურის მითითებით)		
რადიაციული დაცვის პროგრამა, (მონიტორინგის და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამები); გამოყოფილია თუ არა მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი		
ინფორმაცია პერსონალის შესახებ (პერსონალის სია, ჯანმრთელობის მონიტორინგის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები)		

პერსონალის ინდივიდუალური და სამუშაო ადგილების მონიტორინგის მონაცემები (ხელშეკრულებები მომსახურებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში), ჩანაწერები		
მაიონბელი გამოსხივების წყაროების ჩამონათვალი და მონაცემები		
დოზიმეტრიის, ხარისხის კონტროლის ოქმები		
მონაცემები დანადგარების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის შესახებ (ხელშეკრულებები მომსახურებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
კლინიკური დოზიმეტრიის ოქმები (ინფორმაცია, რომლის მიხედვით დგინდება პაციენტის მიერ მიღებული დოზა, გამოყენებული ლიტერატურის მითითებით)		
ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული სათანადო პროტოკოლები/გაიდლაინები მკურნალობის ყველა პროცედურაზე		
რადიაციული ინციდენტების/რადიაციული ავარიების გეგმა		
სხივური პროცედურების სარეგისტრაციო ჟურნალი (წერილობითი ან ელექტრონული)		
საკონტროლო-საზომი, დოზიმეტრიული აპარატურის დაკალიბრების დოკუმენტები		
კომენტარი:		

დასკვნა

გამოვლენილი დარღვევები:

დასახული ღონისძიებები:

ინსპექტირების შედეგად:	
გამოვლინდა დარღვევები	<input type="checkbox"/>
არ გამოვლინდა დარღვევები	<input type="checkbox"/>
ადრე გამოვლენილი დარღვევების შესრულების მდგომარეობა გადამოწმდა	<input type="checkbox"/>
ინსპექტორის ხელმოწერა	
ინსპექტორის ხელმოწერა	
დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა	

რადიაციულ უსაფრთხოებაზე კ/პირის ხელმოწერა	
---	--

თარიღი

დანართი №1^ბ

სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 200, ტელ: (+995 32)2 50 00 46; www.anrs.gov.ge

ინსპექტირების აქტი №
 ბირთვული მედიცინა (დიაგნოსტიკა და თერაპია)

ინსპექტირების ბრძანების N, თარიღი	
ლიცენზიის ნომერი	

ძირითადი ინფორმაცია	
დაწესებულების დასახელება:	
იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი	
ხელმძღვანელის გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი	
რადიაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გვარი, სახელი,	
დამსწრე პირები	
წინა ინსპექტირების თარიღი	
მიმდინარე ინსპექტირების თარიღი	
ინსპექტორები	
ინსპექტირების ტიპი:	

გეგმური არაგეგმური	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>
-----------------------	--

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის აღწერა

საქმიანობასა და რადიაციული დაცვის პროგრამაში მომხდარი ცვლილებები

წინა ინსპექტირების აქტში გამოვლენილი დარღვევები და დასახული ღონისძიებები				
თარიღი	ინსპექტორი	დარღვევები/დასახული ღონისძიებები	შესრულება	
			დიახ	არა

კომენტარი:

შეტყობინებები და ანგარიში		
	დიახ	არა
მომხდარი ინციდენტის/ავარიის შესახებ იყო თუ არა წარმოდგენილი ანგარიში		
მოხდა თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ან რადიაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ცვლილებები, მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული თანხმობის გარეშე		
იყო თუ არა შეტყობინება საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ		
კომენტარი:		

რადიაციული საფრთხის ნიშნები, გამაფრთხილებელი წარწერები		
	დიახ	არა
არის თუ არა გამაფრთხილებელი წარწერები და ნიშნები საკონტროლო ზონაში		
არსებობს თუ არა შესაბამისი წარწერები საპროცედუროს/ბუნკერის შესასვლელთან		
ფუნქციონირებს თუ არა გამაფრთხილებელი შუქნიშნები/ინდიკატორები საკონტროლო ზონაში		
გააჩნიათ თუ არა რადიოფარმპრეპარატების შენახვის/გამოყენების ადგილებს რადიაციული საფრთხის ნიშნები ან გამაფრთხილებელი წარწერები		
კომენტარი:		

დასაბუთების და ოპტიმიზაციის პრინციპების უზრუნველყოფა		
	დიახ	არა
თერაპიული პროცედურები დასაბუთებულია და წარმოებს მხოლოდ რადიაციული ონკოლოგიის სპეციალისტის დანიშნულებით და პაციენტის თანხმობით		
სამედიცინო ფიზიკოსი უზრუნველყოფს ყველა ფიზიკური პარამეტრის სიზუსტეს, რომელიც დაკავშირებულია თერაპიული პროცედურების ჩატარებასთან		
ხდება თუ არა პროცედურების დაგეგმარება სამედიცინო ფიზიკოსის მიერ		
შემუშავებულია თუ არა პაციენტის იდენტიფიცირების პროცედურა		
პასუხისმგებელია თუ არა ბირთვული მედიცინის სპეციალისტი/სამედიცინო ფიზიკოსი პაციენტის დაცვაზე და უსაფრთხოებაზე		
უზრუნველყოფილია თუ არა სამედიცინო დასხივების პროცედურის დასაბუთება		
<i>დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორ არის უზრუნველყოფილი</i>		
დამტკიცებულია თუ არა მკურნალობის შესაბამისი გაიდლაინები/რეკომენდაციები		
დოზა, რომელიც ენიშნება პაციენტს, შეესაბამება გაიდლაინით/პროტოკოლით გათვალისწინებულს		
კომენტარი:		

რადიაციული უსაფრთხოების და ფიზიკური დაცულობის უზრუნველყოფა (მაიონებელი გამოსხივების წყაროები, დანადგარები, აღჭურვა)		
	დიახ	არა

შეესაბამება თუ არა დანადგარები იმ აღწერილობას, რაც წარმოდგენილია სალიცენზიო დოკუმენტაციაში		
უზრუნველყოფილია და გამოიყენებს შესაბამის „დოზ-კალიბრატორს“ (რადიონუკლიდის აქტივობის საზომი ხელსაწყო)		
„დოზ-კალიბრატორის“- რადიონუკლიდის აქტივობის გამზომი ხელსაწყო ხარისხის კონტროლი (სტაბილურობა, გეომეტრია, სიზუსტე, წრფივობა) ტარდება თუ არა მწარმოებელი ფირმის რეკომენდაციების თანახმად		
რადიაციულ უსაფრთხოებაზე კ/პირი აწარმოებს თუ არა შესაბამის დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს თუ არა ხარისხის კონტროლის ჩატარებას და შედეგების შეფასებას		
წარმოებს თუ არა გამა-კამერის ხარისხის კონტროლის შემოწმება, რა პერიოდულობით, ვინ აწარმოებს, ბოლო ტესტის ჩატარების თარიღი		
უზრუნველყოფილია თუ არა რადიოაქტიური წყაროების ფიზიკური დაცულობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად		
კომენტარი:		

მაიონებელი გამოსხივების ღია წყაროები		
	დიახ	არა
ღია რადიოაქტიური წყაროების (რადიოფარმპრეპარატები) მაქსიმალური აქტივობა, გამოყენების მეთოდები შეესაბამება თუ არა ლიცენზიის პირობებს		
ორგანიზაცია იღებს თუ არა მომწოდებელი ფირმისგან რადიოფარმპრეპარატებს სტანდარტულ დოზებითა და აქტივობით		
მომწოდებელი ფირმის დასახელება, მისამართი:		
გამოიყენებს თუ არა მოლიბდენ-ტექნეციუმის $^{99}\text{Mo}/^{99\text{m}}\text{Tc}$ გენერატორებს		
მომწოდებელი ფირმის დასახელება, მისამართი:		

კომენტარი:

რადიოაქტიური წყაროების მიღება/გადაცემა		
	დიახ	არა
დადგენილია თუ არა მიღებული რადიოაქტიური შეფუთვების გახსნის პროცედურა		
მოწმდება თუ არა შეფუთვები გახსნამდე დაზიანებაზე, პოტენციურ რადიოაქტიურ დაზინძურებაზე და იზომება თუ არა შეფუთვის ზედაპირზე დოზის სიმძლავრე		
წარმოებს თუ არა ჩანაწერები შეფუთვების შემოწმებაზე, წყაროების მიღება-გადაცემაზე		
კომენტარი:		

ბირთვული მედიცინა-თერაპია		
	დიახ	არა
შემუშავებულია თუ არა პაციენტის და საშუალო სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოების პროცედურები გამოყენებული მკურნალობის მეთოდების გათვალისწინებით		
მოიცავს თუ არა უსაფრთხოების ზომები ყველა შესაბამის სათავსს (საპროცედუროს, ადმინისტრაციულ კაბინეტებს, პაციენტის ტუალეტს), დაზინძურების დონეების კონტროლს, ვიზიტორების კონტროლს, რადიოაქტიური ნივთიერებების გაშვებაზე კონტროლს		
პაციენტის გაწერისას მოწმდება თუ არა საპროცედურო კაბინეტები დაზინძურებაზე		
შემუშავებულია და დანერგილია თუ არა პროცედურები - მკურნალობის დროს პაციენტის გარდაცვალების შემთხვევისათვის		
წარმოებს თუ არა პერსონალის შინაგანი დასხივების მონიტორინგი (ფარისებრ ჯირკვალში რადიოაქტიური იოდის ჩართვა)		
წარმოებს თუ არა პროცედურების, მკურნალობისა და რადიომეტრიული გაზომვების აღრიცხვა		

კომენტარი:

რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობა		
	დიახ	არა
შეესაბამება თუ არა რადიოაქტიური ნარჩენების გარემოში გაშვება/ჩაშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს		
რ/ ნარჩენების შენახვისას გამოიყენება თუ არა დაყოვნების მეთოდი		
დროებითი შესანახი შეესაბამება თუ არა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს		
